საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ანონიმი ვენეციელი

ანონიმი ვენეციელი, XVI ს. II ნახ. მოღვაწე (სავარაუდოდ სამხედრო პირი იყო). ვენეციის სენატისადმი წარდგენილ რელაციაში დაწვრილებით აღწერს მუსტაფა ლალა-ფაშას ხელმძღვანელობით ოსმ. ჯარის მოსვლას საქართველოს სამხრ. საზღვართან და ჩილდირის ბრძოლას (1578 წ. 9 აგვ.), ოსმალების მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობას. სრულიად ახლებურად გადმოგვცემს მანუჩარ II ათაბაგის დამოკიდებულებას დამპყრობლების მიმართ, ქართლის სამეფოს ბრძოლას სიმონ I-ის მეთაურობით, თბილისის დაპყრობას ოსმალთაგან; მუსტაფა ლალა-ფაშას ურთიერთობას კახეთის მეფე ალექსანდრე II-თან, ალექსანდრე II-ის მიერ შაქის და ოსმალების მიერ შირვანის დაპყრობას და სხვ.

ასევე მნიშვნელოვანია ა. ვ-ის ცნობები საქართვ. ქ-ების (თბილისი, გორი), ციხესიმაგრეების ბუნებრივი პირობებისა და სხვ. შესახებ.

ლიტ.: თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები (1571 – 1581), იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1987.

ე. მამისთვალიშვილი